საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6370
26/10/2022

6370-21-2-202210261155

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი N4939 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. სეფიეთში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. აბაშისწყლის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება ორი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, სეფიეთის ,,წმ. მთავარანგელოზთა'' სახელობის სამნავიანი ბაზილიკა და მაკალათიების ოდა-სახლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტაციაში წარმოდგენილ უნდა იყოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო უბნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორება 1 კმ-მდეა, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 120 მეტრით. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების შესახებ ინფორმაცია (რაოდენობისა და სახეობების მითითებით);

- წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ;
- სამშენებლო სამუშაოების მოცულობათა უწყისში აღნიშნულია, რომ მოხდება დროებითი დამბის დაშლა და გატანა გაბიონის უკან დამბის მოწყობით, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს დროებითი დამბის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო